

რედაქცია

ბანოვის ქუჩაზე, სტ. მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში, ანატონის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Типографіи конторы редакціи газеты „Дროзба“, при типографіи Меликова.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, ქუჩაზე და სხვა ადგილებზე.

განცხადების ფასი

ღირს ასობით, ასობე — 1 კაპ., ასობითავე უფრო, სტრიქონზე — 8 კაპ., ციკროთი, სტრიქ. — 5 კაპ. და პეტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოცხადებულ სტატიებსა და დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

დროება

გამოდის კვირარაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

მოგაპალი 1877 წლის ხელის-მოწერა გაზეთს „დროებაზე“ მიიღება მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში (ბანოვის ქუჩაზე, ნ. ანატონის სახლებში). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Типографіи конторы редакціи газеты „Дро-зба“ при типографіи Меликова и К-о.

„დროების“ რედაქცია სთხოვს თავის ავანტაჟს და ხელის-მოწერას, რომ, რადგან ეს წელიწადი თავდება და ახალი, მოგაპალი წლის ხელის-მოწერა იწყება, ამის გამო წლებანდელი გაზეთის ფული, ვისაც არ გამოუგზავნია, რაც შეიძლება მალე გამოგზავნონ.

რადგან მესამეჯერ გადარჩა ეს ქუჩა, ეხლა აღარა უშავს-რა...

* *

რამდენიმე სომხისაგან გაეიგონეთ ჩვენ საჩივარი თავიანთ შკოლებს პროგრამაზე. საშუალება ჩვენგანით საქმათა აქესთო, ამბობენ ქალაქის სომხები, შკოლისათვის არაფერი არ გვეშურება; მაგრამ რა, ისეთს რამეებს კი არ ასწავლიან, რაც ჩვენ შეიღებს შემდეგ უნდა გამოადგესო-და! სჩივიან განსაკუთრებით იმაზე, რომ ქალაქის შკოლებში ეპრობის საქმეზე, ანგარიშზე ჯეროვანი ყურადღება არა აქვთ მიქცეული. ამას გარდა ჩვენ გამოგვიცხადეს სამღურავე იმაზე, რომ ჩვენ შეიღებს ამ ჩვენ შკოლებში ქართულ ენას არ ასწავლიანო.

არა გვეგონია, რომ ეს უკანასკნელი საჩივარი უსაფუძვლო საჩივარი აყოს. მართლაც, არათუ მთელი ქალაქის, მთელი საქართველოსა და ძველსის სომხობა ჩვენში, აქ, საქართველოს ხალხში ეპრობს, ძველადგანვე, ყველა სავაჭრო მიწერ-მოწერას და დავთრებს ქართულ ენაზედ აწარმოებენ და არდგენენ; მაშასადამე რაღა თქმა უნდა, რომ ქართული ენა და წერა-კითხვა ამათთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს და აქედამ ცხადია ისიც, რომ აქაური სომხების ჩივილი შკოლებზედ, სადაც ამ ენის სწავლას არავითარს ყურადღებას არ აქცევენ, კანონიერი და საფუძვლიანი საჩივარია.

* *

ბუშინწინ რამდენთამე პირთა განაცხადეს ჩვენს რედაქციაში საჩივარი იმაზედ, რომ მოწამულთ გელაქნურს ჰყიდიან ქალაქშიაო. ვისაც კი არ ეყიდა, ძართლა, იმ დღეს ჩვენს ბაზარში გელაქნური, ყველას თავბრუ და გულის-რევა დამართოდა და ავთ გამხდარიყო. ამ გელაქნურს, როგორც გეითხრეს, ცოტათი მწარე გემო ჰქონდაო.

ძალიან კარგი იქნება, მთავრობამ ამ გარემოებას ყურადღება მიუქციოს და ექიმებს შეამოწმებინოს გელაქნური, რომელიც ამ კვირაში შემოვიდა ქალაქში.

* *

ისე კვირა არ გავა, რომ იარმუკაში (საღდათის ბაზარში) ერთი ჩხუბი და აყალ-მაყალი არ გაიმართოს. მოგვხსენებთ, რომ ამ დღეს ეს ბაზარი საღდათებითა და სხვა ყოველგვარი მოვაჭრე ხალხით ივსება

და ივსება ისე, რომ, როგორც ამბობენ, ნევისს კუნწიც აღარ ჩაეტევა გაჭედით ხალხში. ამისთანა დროს ხშირად რომელიმე თავხედი შეფეტონე მოაქანებს თავის ფაეტონსა და იარმუკის ბოლომდინ ისე არ გაივლის, რომ ორი-სამი კაცი მაინც არ გაიტანოს და ერთი ყვირილი, ჩხუბი არ გაიმართოს.

არავითარი წესი, რიგანობა იარმუკაზე არ ჰსუფევს, თითო-ორი პოლიციის საღდათები სჩანან, მართალია, მაგრამ ამდენ ურდო ხალხში და ამისთანა არევე დარევაში იბინი რას გააწყობენ.

შურდობა და ჯიბის დაცარიელების ოსტატობა აქ ძალიან ხშირია და ძალიან ხელოვნურადაც იციან.

თუ სადმეა საჭირო ჩვენს ქალაქში თადარიგის და წესიერების დაცერა, თუ სადმეა საჭირო ქალაქის პოლიცია, უეჭველია, ყველაზე უფრო აქ არის, ამ იარმუკაში, განსაკუთრებით კვირაობით.

* *

მოგვეყავს სია საქმეებისა, რომელიც ჩვენმა ქალაქის რჩევამ უნდა განიხილოს თავის ხელინდელ სხდომაზე, 13 მარტსემოზისთე:

- 1) მოხსენება ცალკე კომისიისა მიხაილოვის სახელოსნო სასწავლებლის თაობაზე და თვითონ ამ სასწავლებლის თაობაზე წესდების პროექტზე;
- 2) წინადადება უფ. მთ. ლუბერნატორისა შესახებ ქალაქის გამგეობაში მოსამსახურე პირების დანიშვნისა;
- 3) მოხსენება გამგეობისა იმის წევრების გამოსვლაზედ;
- 4) მოხსენება გამგეობისა იმ ეპრობაზე, რომელიც მოხდა შესახებ ქალაქის საწონისა, ცხენების ხარჯისა და მტკერის ნაპირზე შემოტანილ ტყისა;
- 5) მოხსენება გამგეობისა სავაჭრო დეპუტაციის შედგენაზედ;
- 6) მოხსენება გამგეობისა ქალაქის ფანრების გასანათებელ ფასის მომატებაზედ;
- 7) მოხსენება გამგეობისა 8—6 წლის ლგოტაზედ.

* *

ჩვენ მიიღეთ ჩვენი კახელი კორესპონდენტისაგან შემდეგი სამწუხარო ამბავი:

„წარსულის გიორგობისთვის 26 თუ 27, სწორეთ არ მახსოვს, თ. შაქრო მაჩნაძე წასულიყო აღაზან გალმა სათემო მამულში საბალახას ასაღებად თავის ამხანაგებით და იმ ორი ბიჭით, რომლებიც აბნაზიშვილის დაწვის თაობაზედ, ციხეში იყვნენ დაჭერილნი. ამ ხსენებულ მამულში შეყრილიყვნენ იმისივე მოწილე ისევე მაჩნაძეები და ერთმანეთში რაღაც ჩხუბი გამოარედათ.

ხელის-მოწერა 1877 წლისა

მეთორმეტე წელიწადი გაზეთის არსებობისა

მოგაპალ 1877 წელს გაზეთი

„დროება“

გამოვა იმავე პროგრამითა და მიმართულებით, როგორც წარსულს წლებში გამოდიოდა.

მომავალი წლიდამ „დროების“ რედაქციის შრომაში უფრო დაახლოებულ მონაწილეობასა და შრომას მიიღებს ორი ჩვენი ნიჭიერი მწერალი-პუბლიცისტი: აკაკი წერეთელი და ნიკ. ნიკოლაძე.

ამათი და აგრეთვე სხვა თანამშრომლების დახმარებით, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ, რამდენათაც რედაქციისაგან დამოკიდებული და დამოუკიდებელი გარემოებანი ნებას მოგვცემენ, კიდევ უფრო საინტერესო, სასარგებლო და საჭირო გავხადოთ ჩვენი გაზეთი მკითხველი საზოგადოებისათვის.

ხელის-მოწერა

მიიღება თ უ ი ლ ი ს შ ი — „დროების“ რედაქციის კანტორაში, სტ. მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში (ბანოვის ქუჩაზე, ანატონის სახლებში).

გარეშე მცხოვრებთათვის თავიანთი მოთხოვნილება ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ: Въ Типографіи конторы редакціи Меликова.

სხვა ქალაქებში „დროებაზე“ ხელის-მოწერა შემდეგ პირებთან შეიძლება:

მუთაისში — სე. მესხთან (სილაზე), შოთში — თ. ანტ. ლაზ. ნაკშიძესთან და მლ. ბაბალოვთან, ახალ-სენაქს — ნიკ. ღვებუაძესთან, ზუზდიდს — თ. ტარ. ალექ. ლადინთან, ოსურბეთს — ანტ. ჯაყელთან, შვირნილაში — მ. ლე. ლამაშიძესთან, გორს — ალალა თუთაევთან, ახალციხეს იოსებ სულხანოვთან და თელავს — თ. ლევან ჯანდიერთან.

გაზეთის ფასი — გაგზავნით და გაუგზავნელად	მან.	კაპ.
წელიწადში	8	—
ნახევარ წელიწადში	4	და 50
სამის თვისა	2	და 50
მართის თვისა	1	—

ამვე საჭიროთ ვრაცხო გამოგვაცხადოთ, რომ გაზეთი ნისი-ათი არავის არ გამოგზავნება გარდა იმ პირებისა, რომელთათვის პასუხის-გებას თვითონ „დროების“ ავანტაჟი იქნისკავენ.

მთხოვთ ჩვენ მომავალ ხელის-მოწერაზედ, რომ თავიანთი მოთხოვნილება დროზე გამოგზავნონ, რადგან უამისოთ იმათი აღრესების დაბეჭდვა დაგვიანდება; ეითხოვთ აგრეთვე, რომ ხელის-მოწერათა სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით იყოს დაწერილი და ყოველთვის, როცა აღრესს გამოიცვლიან, დროზე შეატყობინონ ეს რედაქციას. გამოცემული სტ. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.

საქართველო

დღიური

ჩვენ შევიტყუეთ, რომ ამ ქაშად მთავრობას მოლაპარაკება აქვს ქალაქში ახალი თეატრის აშენების თაობაზედ.

* *

მელიამინოვის ქუჩაზე ამ კვირის განმავლობაში სამჯერ გაჩნდა ცეცხლი: პირველად საფაროვის სახლები დაიწვა; მერე ერთს იმის გვერდით მყოფ სახლს მოეკიდა ცეცხლი, მაგრამ მალე შეიტყეს და მოაქრეს; მესამეც ჩაიგვეტოვის სახლში გაჩნდა, მკვრელის ნახიბოვის მალიზიაში, აქაც მალე გაიგეს და ხელად მოაქვრეს.

ამაში ერთს მაინც (ზიგლას) განსვენებული ძლიერ წაჰკიდებოდა; როგორც ამბობენ, ამ უკანასკნელისათვის ჩხუბში ერთი კარგი ჩობახი ედოო თავში; გაბრაზებულს და ჯოხისაგან გამწარებულს, გეძრო ხანჯალი, მივარდნოდა ხსენებულ შაქრო მაინც და გვეშალა ჯერ ორჯერ თავში და უკანასკნელად თავში.

„მს დაჭრილობა ისეთი ძალოვანი ყოფილიყო, რომ ის საწყალი ახალგაზდა, მშვენიერი ვაჟაკი მაშინვე წაქეულებოდა და ენაც ჩავარდნოდა. მს შემთხვევა მომხდარიყო 28-ს ნაშუადღევს და 29-ს საღამოთი სული განეტევებინა.

„ამ საქმეზედ არის გამოძიება და ნიშნული და ენახოთ ის რაღას გამოძიებს საინტერესოს.“

ჩვენ შევეტყუეთ, რომ ბარათაშვილისა და ანტონოვის თხზულებათა გამოძიებულნი აბეჭდვინებენ ახლა შექსპირის დრამას „მეფე ლირს“, რომელიც, როგორც მოგახსენებთ, უფ. ილ. შავჭავჭავაძისა და ივ. მაჩაბლისაგან არის ნათარგმნი.

ჩვენ შევეტყუეთ, რომ თიფლისის კათოლიკე ეკლესიის ერთს პირს, რომელმაც ამას წინათ „მნების ძვირიაკე“ სთარგმნა, ამ ჟამად გადაუთარგმნია ფრანკულულიდან ქართულად შემოკლებული ისტორია საქართველოს კათოლიკე ყრმათათვის.

ერთს ქალაქელ სომეხს, როგორც გვითხრეს, ქართულ-სომხურის სასწავლებელი სახელმძღვანელო შეუდგენია და აბეჭდინებს.

„დროშის“ კორამსკონდენსია

პიზიუიღამ, ნოემბრის 30-ს. მიიწუწრა ეს მხიარული შემოდგომა. მოგვიანლოვდა ზამთარი. შევლასათვის და ყველაფრისთვის საგრძნობელი შეიქმნა ზამთრის-მოახლოება. ასეთ-ასეთ ცივ-ცივ წიავს ამოუბერავს ხოლმე ხანდისხან და ისეთ ნაირის ზუზუნით გვემუქრება ეს დალოცვილი, რომ აღამიანს ეკლებს გვასხამს ხოლმე სხეულზედ და სათბუნებელს გვაძებნებებს; პირუტყვები კარზედ ვეღარ დგებიან ღამ-ღამით და თავშესაფარს ეძებენ; ფრინველებიც, რაც დარჩა ჩვენში, რაღაც ოხერა-კენესით მინაზებულათ ჰყვიან, ან ლულუნებენ; ყველაფერი შეუშინდა ზამთარს და ეშურება რაიმე საშუალება მოსძებნოს, რომ გულმაგრათ დაუხედეს სასტიკ სამ თვეს; ყველაფერს დაეტყუო ბავშური სისუსტე;—ხეები კი ეხლა იჩენენ მამაცობას: ზამთრის მოახლოებაზედ ობლდებიან, ეხლა იშორებენ სამოსელს, ფოთლებს, ხდებიან ტიტლიკანები და ისე ელიან ზამთრის სუსხსა! ბარაქალა, ხეებო! თქვენ იცით, რომ ზამთარი ბევრ ხეებს არც თქვენ დაგაყრის; თქვენც არა ერთხელ მოვლით იმისგან მწარე მუხრუჭებს, მაგრამ გული კი მაინც მაგრები გვაქვს დაა!... ნეტაი

იმას, ვისაც თქვენი გული და მოთმინება აქვს, თორემ ჩვენს ჩხვილ გულს კი რა ვუთხრა!...

საზოგადოთ მთელი შემოდგომა, მაგრამ უფრო განსაკუთრებით ეს თვე, ნოემბერი, სოფლებში ქორწილის თვეა. მოსაყვანია, თუ წასაყვანი ქალი, აი ამ თვეში აქვს ვადა. ბევრი ქალისა და კაცის ბედი და იღბალი ტრიალებს ამ თვეში. არ ვიცი, ამ თვისთანა ცოდვილი თვე იქნება-ლა სხვა რომელიმე თვე! მს თვე, როგორც იმერლები იტყვიან, ჰინკობისთვეც არის: თუ სადმე რა პაპის ხელქვეითი, ქვეშევრდომი, ქაჯი, ალი, ჰინკა და სხ. არიან ამ თვეში აირვე-დაირვეიან და დეტარებიან სოფელ-სოფელ. მაგრამ ერა ვთქვი? თუთი! ჯვარი აქაურობას! დასწყევლოს ღმერთმა იმათი სახსენებელი!...

ღიახ, ქორწილის თვეა ეს თვე! და კარგი დროც არის, მე და ჩემმა ღმერთმა! ამ დრომდინ გლეხი კაცი ემზადება პურით, ლენით, თივით, ბზით, აესებს ოჯახს ყველაფრით; იხდის თუ რამ ვალები ჰკიდია. ჰმ! „თუ რამ ვალები ჰკიდია“—მეთქი! რაღა „თუ რამ“! მალის მეტი რაღა ხეირი აყრია იმ ბედკრულს? ჰო, იშორებს ვალებსაც. მეშრე დაჯდება არხინად ტვირთ მოშორებული. ამ დროს იმას ყველაფერი ტკბილათ ეჩვენება. რომ შეზარხოშდება წითელი ნუნუათი და მოუჯდება გაღვივებულ ბუხარს, საცოლო გლეხი ვარდება ოცნებაში.

„რა ოხრათ დეარჩენ ამ ჩემ ცხოვრებას; ვისთვისა ვღვრი ამდენ სიმწარის ოფლსა! რა ვარ ამ ქვეყნად მართო კაცი! მოდო, შევიროთ ცოლი, ქვეყანა ვგრე მომდინარეობს! სთქვა და მორჩა; გადაწყვიტა—უნდა შეირთოს ცოლი.

აბა, ეხლა, მაქანკლებო, მომართვით თქვენი იარაღები! მამოვიდა სცენაზედ მაქანკალი. მიდის საცოლოსთან და მჭევრმეტყველურათ ორატორულათ, ხელებ გაშლილი მოუყვება რომელიმე ქალის ქებას; მძივებივით ჩამოუთვლის იმის კარგ მხარეებს. საცოლოს პირში წყალი მოსდის და ტანში ქრუანტელი უვლის თავის საცოლოს ამნაირი ქება-დიდებათ და ეთანხმება; კიდევაც ემუდარება:—შენი ჰირიმე, მიშველეო! მაქანკალი ეხლა მეორე პირთან, საქრმოსთან მიდის. მსვეც მსგავსად ეშხში შეიყვანა და დაითანხმა. სოტა კიდე აქეთ-იქით მოლაპარაკება და საქმე ბოლოვდება; ერთი-ლა აკლია—დაუღლება.

მაგრამ უკაცრავათ, ამ დაუღლებამდ ჯერ კიდევ ბლომათ წყალი ჩაივლის; აქამდ ჯერ კარგა დიდი გზა არის გასაჩენ-გასაკაფაი; ბევრი რამ აკლია შეუღლებას, თუმცა მაქანკალმა თავისი ვალი უკვე მოიშორა. როცა ორსავე მხრივ თანხმობა არის, მაშინ პატარძალი უნდა გაიხზრიკოს თავიდან ფეხებამდ, ე. ი. უნდა გაისინჯოს საქრმოს ნათესავეებისგან. საწყალი საპატარძლო! რამდენი სიმწარის ოფლის დაღვრა მოვლის ამ დროისთვის! რამდენი თვალთ

მაქცური ოსტატობა მართებს, რომ თავი კარგა დაიჭიროს და ერთი ორათ გამოჩნდეს, რომ მოიწონონ! ზასინჯვისა და მოწონების შემდეგ იქნება ნიშნობა; აქედამ დაწყებული „სადედომდი“ ყოველ დღესასწაულ დღეებში ძღვნის გზაენა სამეფოს მხრით; მემრე რაღაც „სადედო“; სადელას მოსდევს „საქორწინო, საოსტატო“ და სხვ. ბოლოს, რის ვაი-ვაგლახით ქორწილი.

ამეგებში ყველაზედ უფრო სასაცილო და ახირებული ჩვეულება არის „საოსტატო“. ძალი ორი კვირა, ან ორიოდე თვე რომელიმე სახელოვან დედაკაცთან ჰყოფილა მიზარებული ყმაწვილობაში და „აბრძანდობრძანდის, მიირთვი-გიახელი, როგორა ბრძანდები—კარგა გახლავარ“ და სხვა უსწავლია და ამის გულისთვის წამოდგება ოსტატი დედაკაცი და „ეს ქალი მე გაეწურთენ, ჩემს ხელში გაიხარდა, ისწავლა ყველაფერი (ის კი არა თუ ზოგს თავის კაბისა და ქრმის ახალუხის გამოჭრაც არ ეცოდინება რიგიანათ), და ამდენი და ამდენი მერგება საოსტატოვო.“ დაიწყებს თხოვას. რა მეტი ჯანია; საქრმოც აძლეეს. (საოსტატო თუმანზე ნაკლები კი არა და მეტი ხშირად იქნება.)

მეორე არა ნაკლებ იხირებული ძველებური ჩვეულება არის „შაბაშ-გადალოცვა“, რომელიც იციან ნიშნობაში; სადედოში და ქორწილში. მოწივებით მოპატივებული სტუმრები სხედან და პურის-ჭაშით შეექცევიან. ამ დროს მეფე-დედოფალის წინ დგამენ ვერცხლის ჯამს. შუა სახლში დგას გამოცდილი „დალალი“ (გადამლოცავი), რომელიც იღებს ფულებს სტუმარ-მასპინძლიდან და ყვირის: „მაგონება იყვეს! სიდედარს (ან სხვა ვისმეს) მოურთმეგია თეთრი მანეთი (ან მეტ-ნაკლები); ღმერთო. მიეც ვაჟი-შვილი, კეთილი და კარგი გული, ააშენოს!“ ხალხი ერთ ხმად: „ააშენოს!“ მს არის გადალოცვა. დაჰკრამენ დაირა-გარმონს, წამოდგება პატარძალი და თამაშობს. დალალის მოსდის ფულები და ყვირის: „მაგანს მოურთმეგია შაბაში ერთი თეთრი უშალთუნინი, ააშენოს!“ ხალხი ერთხმად: „ააშენოს!“ მს არის შაბაში. შაბაშ-გადალოცვის მიცემაში ყველა მოვალეა, თუ სინილისს არ გადაუღდება. ჯერ აძლევენ სიძე-პატარძალს ახლო ნათესავები, მათ უკან სტუმრებიც. ბამოცდილი დალალი კარგა ფულებს შეაგროვებს ამ შემთხვევაში: შენ რო აბაზი მისცე, ის სამ-ოთხ აბაზს ამბობს, რომ სხვას შერცხვებს და მეტი გამოიღოს. სინილისიან კაცს აქ იმდენი ეხარჯება შაბაშ-გადალოცვაში, რომ იმის ნახევარი ფასის არც კი რამ შეუჭამია და ეგეთი დაპატიჟილი ღუქანში პურის ჭამაზედ უარესია: როგორც იქ, აქაც ყველაფერს ჰყიდულობ, მაგრამ უფრო ძვირად და ისე მიირთმევს... თუ ბლომათ მოდის შაბაში, პატარძალი აძრიელებს თამაშსა, თუ ბლომათ მოდის გადასალოცავი, მეფე იციანს ქვეშ-ქვეშ; წინააღმდეგ ამისა ორივე იღრბებიან.

შადგილო აბ [ქვემოთ] და, ჯვარის-წერის ყველა ჩვეულებები და „დათები“ დაწერილებით ჩამომთვალა და გამეცნო მკითხველები, რადგანაც ყველა მხარეებში ერთნაირად არ იციან, მაგრამ ეს შემდეგისათვის იყვეს.

ამ ნოემბერში მაზიყში ძალიან ბევრი ქორწილები იყო. მე მართო ერთი სოფლის ჯვარ-დაწერილების რიცხვი მაკვირვებს და სხვა სოფლებშიაც თურმე ამაზედ ნაკლები არ იქნებოდა იმათი რიცხვი. მრ კვირა დღეს დილიდამ საღამომდი სასოფლო გზაზედ განუწყვეტელი „მოგეყავს და მოგეხარიათ დედალ-მამალი ხობობი“ და სხვ. მესმის და დამთერალი მაყრების რიცხვს სათვალავი არ აქვს.

ჰაი, ბეჩა, რამდენი ღვინო დაიხარჯებოდა ამდენ ხალხზედ! რამდენი გოგრასავით გაგორდებოდა! იმდენი ღვინის წყალობა თქვენ, რამდენი პატრონისანი კაცი ღვინისაგან პამპულასაებ მხტომი მინახავს ამ ქორწილებში; საწყალს გული ასრუებოდა და დაბადებას იწყებოდა: „ღმერთო, რათ გამაჩინეო!“


ღიახ, ბევრი რამე შეუძლიან ამ დალოცვილ ღვინოს...

თეოფ. ძანდელაქი

რუსეთი

შავი-ზღვის ნაპირ მდებარე დანარჩენ ქალაქებში ქ. შვოდოსიდა-მაც (პირიმშია) მცხოვრებლების ერთობ დაშინებაზე იწერებიათ ამ ეხლანდელ განუხამზღვრელ მდგომარეობისა გამო. სხვათა შორის, აი, რასა იწერება „მოსკ. უწყ.“ იქიდან ერთი კორესპონდენტი:

„ჩვენ შვოდოსიელები ამ ჟამათ შიმშია და იმედს შუა ეცხოვრობთ. მართნი ამტკიცებენ, რომ-ომი რომ არ იქნეს შეუძლებელია და მეორენი კი—რაჟინ არის რომ ევომოთო: ნემეცები და შრანკუზები ჩვენკენ არიანო და—ამისანა შეერთებული ძალის წინააღმდეგ, მსმალო და ინგლისი ვერ გაბედავს იომოსო.—მრთ გვარი შიში ფეოდოსიელებისა ამ მოსაზრებების გამო მომდინარეობს. მეორეც ძიელ ეშინიანთ თავიანთივე მიწის შვილების პირიმელი თათრებისა—ნუ თუ—რომ გასწყურეს ღმერთი და ატყდეს ომი, ეს ჩვენი თათრები ჩვენვე მოგედგებიან და დაგეხოცენო, ამბობენ ესენი?—შარაიმელები, მაგალითად, დარწმუნებულნი არიან, რომ თათრები იმათ დიდიან-პატარაანათ ამოსწყევტს და ამიტომაც ესენი მზათ არიან, რომ, ატყდება ომი თუარა, მაშინადვე გადაესახლონ სადმე შორს. ბევრმა იმათგანმა სახლის ავეჯულობა და თუ სხვა რა გააჩნდათ გარდა-მალეს კიდევ.“ მესამე შიშიც იქიდან წარმოსდგებოდა—ამბობს ზემო მოხსენებული კორესპონდენტი, რომ აქ ბევრი დაჯერებულნი არიანო, რომ მსმალოს ჯარები, როგორც ყოველთვის, ისე ამ ომშიაც, არაფელს არ დაზოგავს რაც კი წინ დახ-



ედებათ და, მაშასადამე, შვიდობისა-
საც ააოხრებს, თუ მოადგა, და ააწო-
კებს აქაურობასაო. — ამ შიშის ის
შედგვი აქუსო-ათავებს კორრესპონ-
დენტი, რომ შვიდობისაში მანც არ
იყო კარგი და დიდი ვაჭრობაო, და
მანც ამჟამად სულ მიყრუვდა და შე-
ჩერდაო.

* *

— ჩვენ ესწორდით თავის დროზე
რომ მინისტრების კომიტეტში მო-
ლაპარაკება არისთქო იმაზედ — თუ
როგორ დაანაწილონ შემოსავალი იმ
საეკლესიო ადგილებისა, რომელნიც
ბესარაბიის გუბერნიის იმყოფებიან
და აღმოსავლეთის ეკლესიებს ეკუთ-
ვნიან. ამ ქამათ, როგორც გაზეთს
„ახალ ღროვებაში“ იწერებიან, უცხო
ქვეყნების მინისტრების კომიტეტს,
მინისტრის წინადადებით, ეს შემოსა-
ვალი შემდეგ ნაირათ გაუნაწილებია:
მეხუთედი ნაწილი შემოსავლისა უნ-
და მოხმარდეს სხვა და სხვა ქალა-
ქებზე (ბესარაბიის) ერობაზე, და სა-
ზოგადოებებზე დარჩენილი გარდასა-
ხადების შესავსებლათ. დანარჩენი
უნდა გაიყოს ორს ნაწილათ და აქედ-
ამ ერთი წილი — აღმოსავლეთში მყოფ
მონასტრების და ეკლესიების სასარ-
გებლოთ უნდა გადიდოს და მეორეც
— ამისთანავე ეკლესიების და მონას-
ტრების ასაგებლათ, შკოლების გა-
საურცვლებლათ ან სხვა რამ კეთილ
საქმისათვის უნდა იყოს.

— იაროსლავის უფლის ერობას,
სხვათა შორის, შემდეგი გარდაწყვე-
ტილება დაუდეს: იმ სახალხო შკო-
ლების მასწავლებლებს, რომლის შე-
გირდებიც, სწავლის შესრულების შემ-
დეგ, მიიღებენ მოწმობას, რომ ახალი
სამხედრო კანონის ძალით ისინი სამ-
სახურის ვადის შემოკლებას ექვე
მდებარებიან, მიეცესთ სამ-სამი მან-
ეთი ყოველ ამისანა შეგირდზე.

უცხო ქვეყნები

სტამბოლის კონსტანტინოპოლი. კონ-
სტანტინოპოლიდ მ ნ. ს. დეკემბერს
მოსული ტელეგრაფმა გვატყობინებს,
რომ სტამბოლის კონსტანტინოპოლზე
ყველა სახელმწიფოების წარმომად-
გენლებს დეპეშებით შეუტყობინე-
ბიათ თავიანთ მმართველობისათვის
ის შინაარსი გადაწყვეტილებისა, რომ-
მელნიც მათ დაუდვიათ კონსტანტინო-
პოლის შესამზადებელ სხდომებზე. მ-
ვათ კონსტანტინოპოლი 9 დეკემბერს (ე.
ი.) გაიხსნება და იმედი აქვსთ, რომ
— რადგან ეს წინა სხდომები კარგათ
და თანხმობით თავდება, თავათ კონ-
სტანტინოპოლიც ასე გაათავებს თავის მუ-
შაობას და-ამ რიგათ, მოუღებს ბო-
ლოს მეროპის საყოველთაო კრი-
ზისს.

კონსტანტინოპოლიდამე მოსუ-
ლი ტელეგრაფმა 7 დეკემბერს (დ. ს.)
ამბობს, რომ შმთავრესი მეზირის, მე-
ხემედ-რუდვი შაშა სულთანს გადუ-
ყენებია სამსახურიდამ და იმის მაგი-
ერ სახელმწიფო რჩევის თავმჯდო-
მარე, მიტჰად-შაშა დაუნიშნავს. —
მართი ეს გარემოება და მეორეც ისა,

რომ მენგრიის ლენერალი პლაპკა,
რომელიც ერთს უმთავრესს — მტერათ
ირიციხება დღეს საზოგადოთ სლაეი-
ანებისა, გასულა პონსტანტინოპო-
ლიდამ, სულტინის ნახვის შემდეგ,
ვერაპას დიდს იმედს აძლევს, რომ
რუსეთსა და მსმალოს შუა ამტყ-
დარი უთანხმოება მშვიდობიანათ და
მორიგებით გათავდებაო.

— პარიჟიდამ მოსული ტელეგრაფ-
მა 7 დეკემბერს (დ. ს.) გვატყობინებს,
რომ რადგან კონსტანტინოპოლის მუშა-
ობის მშვიდობიანათ გათავების იმე-
დმა იმატაო, ამისათვის პარიჟის ბირ-
ჟაზე კურსები აიწიაო.

— როგორც ჩვენმა მკითხველებ-
მა იციან სტამბოლის კონსტანტინოპოლის
წინა სხდომები 30-ს მოემბერს გათა-
ვებულა. ამ წინა სხდომებზე, გარდა
უმთავრესი სახელმწიფოების წარმო-
მადგენლებისა, კიდევ ყველა ამ სა-
ხელმწიფოებისვე კონსულები ყოფი-
ლან. — მართი ნემენცური გაზეთი ამ-
ბობს, რომ ამ წარმომადგენლებს უნ-
დათო კონსულების ჩვენებით ისარ-
გებლონო კონსტანტინოპოლისთვის. — მ-
ვათ კონსტანტინოპოლის სხდომებზედ კი
არც ერთი ამ კონსულებთაგანი და
არც ვინმე გარეშე პირი არ იქნებოა.
პავე გაზეთის სიტყვებით ინგლისს
ჰსურსო კონსტანტინოპოლზე წინადადება
შეიტანოსო, რომ მსმალოს მმარ-
თებლობას, თავის გამზადებულ რე-
ფორმების შესასრულებლათ უნდა
მიეცეს ნ. ს. თეილამ, ვიდრე ერთ წლამდე
ვალა. — ამ ვადის გასვლის შემდეგ
კონსტანტინოპოლი კიდევ უნდა შეიკრიბოს
კონსტანტინოპოლში იმ მიზანითი,
რომ შეამოწმოს — მართლა მოახდინა
მსმალომ თავის ქვეშევრდომებში
ის ცვლილებები რაც დაპირდა, თუ
არა. ამისანა შემოწმების შემდეგ შე-
უძლია მეროპის უთავრესი სახელმ-
წიფოებს დაინახონ — თუ რამდენათ
მოწადინებულა მსმალეთი თავის
ქრისტიანეთა პროვინციების მდგო-
მარეობის გაუმჯობესობისათვის. —
„ძნელი დასაჯერებელიაო, განაგრ-
ძობს ეს გაზეთი, რომ რუსეთმა ამ
წინადადებაზე თანხმობა განაცხადო-
სო.“

მსმალმ. — „ღროვების“ ერთს
წინანდელ ნომერთაგანში ჩვენ ვამ-
ბობდით, რომ მსმალოს უმთავრესი
სი ვეზირი წინააღმდეგია ახალი კონ-
სტიტუციის ზოგიერთი მუხლებისა,
თუმც იმის შედგენაში ისიცერია. —
ის თხოულობს, რომ ეს მუხლები
მოისპონ ან შეიცვალონ. ამის წი-
ნაამდგეგია მიტჰად-შაშა და კონს-
ტანტინოპოლში ძრიელ ეშინიანთ,
რომ ეს უთანხმოება ამისთანა დროს
არ განძლიერდეს.

— იმ საშუალებებს, რომელთაც
მსმალოს მართველობა ხმარობს
იმისთვის, რომ ჯარები შეამზადოს,
ზოგიერთს პროვინციებში ძრიელ უკ-
მაყოფილება მოუხუთენია. მაგ. სარა-
ში რედიფების მოწვევა ძრიელ დინ-
ჯათ მოდისო. აქამდისინ სირიილამ
მხოლოდ ხუთი ბატალიონი სირიე-
ლი რედიფებისა გაუგზავნიათ მერო-
პის მსმალოში და ისიც ერთის იკა-

ვაგლახით. ამნაირათვე მიდინის მან-
რაშიაც ჯარების გამოწვევაო. მაგრამ
ყველაზე გასაკვირველი ის არის, ამ-
ბობს ერთი ნემენცური გაზეთი, რომ
თავათ მსმალეთის დედა ადგილებში,
როგორც მაგ. მეკაში, მედინაში და
დამასკაში ამ წინააღმდეგობას ყველა
ადგილებზე უარესი შედეგი აქვს მს-
მალოსთვისაო. მაგ. ბედუინებს; ამ
ძლიელი მძლავრსა და მამაც ხალხს
განუტყუებია, რომ თუ მსმალოს
მართველობამ უარი არ ჰყო იმათგან
ჯარების გამოყვანისა, ასინი იძულებ-
ბულნი იქნებიან მთლათ ერთიანათ
აჯანყდენ. მართი ამ ხალხების ტომ-
თაგანი აჯანყებულა კიდევ და მოუს-
პიათ გზები მეკასა და მედინას შუა.

— ზაზეთის სიერცე ნებას არ გვა-
ძლევდა, რომ ჩვენი მკითხველები-
სათვის დაახლოვებით მანც შეგვეტყ-
ობინება მსმალოს სომხების მდგო-
მარეობა. ამ უკანასკნელს დროს,
როდესაც გაზეთებმა საზოგადოთ მს-
მალოს ქრისტიანთა პროვინციების
მდგომარეობაზე შექმნეს ლაპარაკი,
იმათ შორის მსმალელი სომხების
მდგომარეობასაც შეეხნენ. სხვათა
შორის, დღეს ალბათ ჩვენმა მკითხ-
ველებმაც იციან, რომ შალაქელმა
სომხებმა ხელიწიფე იმპერატორს, მ.
ი. შ. ძაგაზის ნამესტნიკის შუამ-
დგომლობით, აღრესი მიართვეს, რომ
მელშიაც ისინი თხოულობენ, რომ
სტამბოლის კონსტანტინოპოლზე, მსმ-
ალოს დანარჩენ ქრისტიანთა პროვინ-
ციების მდგომარეობაზე ლაპარაკის
დროს, მსმალელი სომხებიც არ
დაევიწყნათ; თუ სხვა ქრისტიანებს
იხსნის მეროპა მსმალოსაგან, ისინი
დაეხსნა, რადგან ისინიც იმავე
მდგომარეობაში არიან, როგორც
სლაეიანების პატარა სათავადოები. —
ასე ზრუნავენ შალაქელი სომხები
თავიანთ მოძმეთათვის... მაგრამ არც
თავათ ეს მოძმენი, მსმალელი სომ-
ხები არიან გაჩუმებულნი. ნემენცუ-
რი გაზეთის — „პოლიტიკური კორ-
რესპონდენციის“ სიტყვით, იქაური
სომხების პატრიარქს, თავისი ხალხის
სახელით, თხოვნა მიუცია შმთავრე-
სი მეზირისათვის, რომ მრზინჯანის,
მუჩის და მარდინის მანრებიდამ მს-
მალოს მართველობას სულ ცალკე
სამართველოები გაეკეთებია, რად-
გან ამ მანრებში უმთავრესი რიცხვი
მცხოვრებლებისა სომხობაა. შუიკი-
თხავს თუ არა ეს თხოვნა შმთავრესს
მეზირს, დაცინვით უკითხავს პატრი-
არქისათვის: — იგნატიემა ხომ არ
გავაბედინათ ამ თხოვნის მოცემაო.
როდესაც პატრიარქს ენერგიული
უარი უთქვამს ამისთანა ექვის აღე-
ბაზე, შმთავრესს მეზირს გამოუცხა-
დებია, რომ — რაც უნდა იყოს, იმას
არ შეუძლიან არ გააკცხოს მსმ-
ალელი სომხების მოქმედება ამ უკა-
ნასკნელ დროს განმავლობაში თავ-
ვისი მართველობის წინააღმდეგ. „შე-
მიძლიან დაგაიმედოთ, უთქვამ ბო-
ლოს მეზირს, რომ, თუ კი იმ მან-
რებში ლებერნატორები დაინიშნა,
იმათში უთუოთ სომხებიც იქნებიან.“

— კონსტანტინოპოლის ნავსად-
გურში, როგორც თავათ ქალაქშიაც

ამ ქამათ გაცხარებულნი, შეშინებულნი
მზადება არისო, იწერება ერთი იქა-
ური კორრესპონდენტი ზემო-მოყუა-
ნილის გაზეთისა. ნავსადგურში მუდამ
დღე აუარებელი სამხედრო გემები
შემოდინა ჯარებით სავსეო; აქედამ
ამისთანა გემები ჯარებით და თუ
სხვა სამხედრო იარაღებით დატვირ-
თული მარნაში და ტრაპიზონში იგ-
ზანებიან. მარნებში და არსენალებ-
ში გაცხარებული მუშაობა არის ყო-
ველგან თუ თოფის წამალს და თუ
თავათ სამხედრო იარაღებს ამზადე-
ბენ ინგლისის ინჟინერების ხელმძ-
ღვანელობითაო; ზოგიერთი სამხედ-
რო სასწავლებლები ლაზარეთებთ
გარდაკეთესო და სხე.

რუმინია. მართს რუსულ გაზეთში
ბუხარესტიდამ იწერებიან, რომ იქ
დღეს ყველანი დარწმუნებულნი არი-
ანო, რომ მსმალოსა და რუსეთს
შუა ომი უთუოთ ატყდება. ამ დარ-
წმუნებით უნდა აიხსნებოდეს სხვათა
შორის ის გარემოებაც, რომ ამჟამათ
საზოგადოთ მთელს რუმინიის სათა-
ვადოში აჩქარებული მზადებაა და
ჯარების შეიარაღება საომრად. ამას
წინათ ერთს გაზეთში იწერებოდნენ,
ვითამც რუმინიის მმართველობას
უკითხავს ზოგიერთ უმთავრეს სა-
ხელმწიფოებისათვის, რომ როგორ
მოიქცეს ის იმ შემთხვევაში, რომ
რუსეთმა მსმალეთთან ომის დროს
თავისი ჯარების რუმინიის ტერიტო-
რიაზე გარდაყვანის ნება სთხო-
ვოს. ამ კითხვით, ამბობდა მაშინ
ის გაზეთი, რუმინიის მმართველობას
მხოლოდ ის უნდოდაო, რომ — თუ
კი მართლა ის რუსეთის ჯარებს თავის
ტერიტორიაზე გადაატარებდა,
იმ სახელმწიფოებს, რომლებთანაც
მან ვითომ ნების აღებით მიჰმართა,
არ ეთქვას, რომ რუმინიამ ნეიტრა-
ლიტეტი დაარღვიაო.

ნარეკი

პრსად, არც ერთს ქვეყანაში არა
აქეთ ხელის მოწვრით ფულის შეკრებას
რომელიმე საქმისათვის იმისთანა შედეგი,
როგორც საზოგადოთ საფრანგეთში და გან-
საკუთრებით პარიჟში. მთუ ახლავს ჩვენს
მკითხველებს, ის ხუთი მილიარდი (ხუთიასი
მილ.) ფრანკი, რომელიც საფრანგეთს ბერმანამ
სამხედრო გარდასახდათ (კონტრიბუციით)
დაადო, 1871—71 წლ. ომის დროს,
უმთავრესად ამ ნაირი ხელის — მოწვრით მო-
კრიფეს საფრანგეთში. სხვათა შორის ერთს
ფრანკულულს გაზეთში დღეს ვკითხულობთ,
რომ პარიჟის კათოლიკეთა უნივერსიტეტის
სასარგებლო ხელის — მოწვრას 1,231,192
ფრანკი (თითქმის ორასი ათასი მანეთი) მიუცია.

* *

სპარსეთის შაჰი ნასრედინი კიდევ
ეპრება მეროპის სტუმრობას მომავალი
1878 წ.; როგორც ამბობენ, პირველათ
მსმალეთში უნდა შეიაროს ტეგერანიდამ
ტრაპიზონში და აქედამ ზღვით კონსტან-
ტინოპოლში. ამ მოგზაურობისათვის ის თან
არაფერს გვარს ძვირფასეულობის წადე-
ბას არ აპირებს; არამედ წარჩინებული
კაცების ახალგაზდა ვაჟები უნდა წაიყვანოს
და მოგზაურობის დროს სხვა და სხვა სა-
ხელმწიფოების გამოჩენილ სასწავლებლებში
უნდა დაარბოს, უმთავრესად პარიჟის პო-
ლიტექნიკური შკოლაში და შენევის სასწა-



ვლებლობაში. გამობრუნებისას მგვიტემში უნდა შეიაროს, საიღამაც შექაში და მედი- ნაში წავა სალოცავათ. იმედია, როგორც პირველი მოგზაურობით, ისე ამ მეორითაც ნასრდინი ბევრს გაიცინებს!


— აწ ნეტარ სხენებულმა ძარდინალ ანტონელმა თავისი ანდერძით ბევრი რამ უნდებდა თუ პაპას, თუ წმ. პეტრეს ეკ- ლესიას და სხვ. მეთქი — გამბობლით ჩვენ ამას წინათ. ჩვენც მოვტყუდით და მკით- ხველებიც მოვტყუდით! — ღღეს სულ სხვა ამბებს იწერებთან ამ ნაანდერძის შესახებ. ანდერძი ანტონელის 18 იანვარს 1871 წელს შეუდგენია თავის ხელით. ამ ანდერ- ძით პაპისათვის უნდებოდა ჯვართცმის ჯვარი, 2,000 ფრანკი ღირსო. სული წმ. ლაზარეთისათვის 25 ფრანკი (8 მანეთად) და იერუსალიმისთვისაც 20 ფრან. (5 მან. ნახევარი)! დანარჩენი ცხონებ-ქონება, ფუ- ლი თუ ნივთიულობა და თვალ-მარგალიტი სულ 50 მილ. ფრანკი თავის მემკვიდრე- მისათვის ორი მძისა და დისთვის დატო- ვებია, რადგან, როგორც ანდერძი ანბობს, ყველა ესენი მე ზოგი ჩემის მამისაგან დამ- რჩა და ზოგიც მე შევიძახეთ. ანდერძის დასასრულს ანტონელი ამბობს, რომ ის სრულიად დამწვინებული და წმინდა გულით შეეგებება სიკვდილს, რადგან მთელი თავის სიტოცხლე პაპისა, ეკლესიისა და სახელმ- წიფოს სარგებლობისათვის მოვიხმარე; ყოველ- ვან და ყოველ შემთხვევაში ამის ინტერე- სებს ვიცავდით... ის ჰკიცხავს ამ ანდერძითვე იმით, რომელიც შეუსაბამო ჭორებს და ბრალდებას ვავერცელებენ ხალხში იმაზე.

თვილისის სამკურნალო (4 აპრილის სახსოვრად) შიენის მადანზე, ჩიტახოვის სახლებში ბეათყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვი- რას გარდა, დღის 8 საათიდან დღისვე 10 საათამდე. მ. რ. შაბათს: ექიმი მინკიევიჩი — ხირუ- რგიულ ავთამყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიციევი — შინაგანი ავთამყოფობისათვის. სამშაბათს: მერმიშვი და მარკარო- ვი — შინაგანი ავთამყოფობისათვის, მამამ- შვი — თვალის ექიმი. მ. თ. შაბათს: ლისიციევი — შინაგანი ავთამყოფ., მიუჩარინცი — ვენერიული ავთ- მყოფობისათვის. ხუთშაბათს: მერმიშვი შინაგან ავთ- მყოფობისათვის. პარასკევს: ლისიციევი და ასატუ- როვი — შინაგანი ავთამყოფობისათვის და მინ- კიევიჩი — ხირურგიულიისათვის. შაბათს: მერმიშვი და მარკაროვი — შინაგანი ავთამყოფი. მიუჩარინცი — ყურისა და ხირურგიულ ავთამყოფობისათვის და მამამშვი — თვალის ავთამყოფობისა.

განცხადებანი

კავკასიის საგვიმო ინსტიტუტი შიომბარე ქალები მიიღებენ ყოველთვის დღე და ღამე, ფასი დღეში 50 კაპ., ღარი- ბები უფასოთ მიიღებან. ცალკე ოთახების ქირა თვეში 30—50 მანეთამდის არის. მიღება ავთამყოფი ქალებისა და ყმაწვილების. ძალის ავთამყოფობისათვის: შიველ დღე, კვირას გარდა, 10 საათი- დამ 11 მდინ — დოქტორი ანანოვი. მთხშაბათობით და შაბათობით 12 სა- თიდან 1-მდინ — დოქტორი რემერტი. სამშაბათობით და შაბათობით 11-დამ 12-მდინ — დოქტორი ალბანუსი. საყმაწვილო ავთამყოფობისთვის: ხუთშაბათობით 11 სათიდან 12-მდინ და კვირაობით 10-დამ 11-მდინ — დოქტორი შიაკოვი. შაბათობით 12 სათზე რჩევა დოქტო- რებისა: რემერტის, ალბანუსის და ანანოვის. ინსტიტუტთან ახლად გაიხსნა განყოფი- ლება, რომელშიც საქალბო ავთამყოფო- ბას არჩენენ. ამ განყოფილების საზოგადო- თობაში ავთამყოფთა უნდა აძლიონ დღეში — 50 კაპ., ცალკე ოთახებში კი დღეში — 1 მან.

LA VELOUTINE (ველუტინი) ერთნაირი ბრინჯის კუდრი (უშარილი), ბისმუტით გაკე- თებული. ისეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ აღბობს და ახალგაზდა ადა- მიანის კანს დაამსგავსებს. ქანს ეკერება და არა სჩანს. შ. ჭ ა ი — გა მ ო მ გ ო ნ ი pommade satin (ატლასის პომადე) ხელების კანის რბილად შე- სანახავად; ზამთარში არ და- უსკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს. 9, Rue de la Paix, Paris 156—87



ათასი პირი, ქალი და კაცი თავისი მშენებლის თმის ქონებით ვალდებუ- ლია მხოლოდ სამხლერ გარეთ ვაჭ- რობაში შემოტანილ ვსრეთ წოდებულ მცენარეობითს მინო-ვლიტარინის პომადისა, რომელსაც თმა ამოჰყავს. მს პომადა უცდია ბევრს გამოჩენილ ექიმობისმცო- დნეს და რეკომენდაციის წიგნი აქვს

ქიმიის პროფესორისა ლანდგერისტთან დანიშნულისა, მენაში, უ. პლი- ჩინსკისა და ნებართვა აქვს მოსკოვის საექიმო მთავრობისა; საკვირველს და წარჩინებულ წარმატება ჰქონდა და უკანასკნელ დროს მოსკოვის საექიმო მთავრობამ განიხილა და ჰპოვა კარგი თვისება ამისი. წესიერათ იმის ხმარებაზე მომატებულათ მოსვლელი თაეც კი მალე თმით იზარება. საკვირველათ თავის კეფას უმაგრებს, სრულებით კანის ყოველ გვარ ქერქემს აშორებს, თმას ამაგრებს, მცირე ხანში ბუნებითი სიბრწყინვალეს აძლევს და მეტის-მეტ მშენებლის სუნით, რომელიც იმი- სი ძვირფასი კუთვნილებაა, რასაკვირველია, პირველის ტურფა ტუალეტის დამამშვენებელია. შევლავს თვისებანი ჩემის ნაწარმებისა მძლევს სრულს სიბართლეს იმედი ვიქონია, რომ რუსეთში ძალიან გასავალი ექნება უპატივემუ- ლესის პუბლიკის სასარგებლოდ.

შასი ბანკისა 2 მანეთი შიველ ბანკთან არის დარიგება — თუ როგორ უნდა იხმარონ ეს პომადა

კ ო მ ა დ ა „PASTA EUGENIE“ ამ პომადის გამამ- გონს აქვს პატივი განუცხადოს საზო- გადობებს, Pasta Ev- genie ისე იღება თში- ლისში ლანკოს მუ- ზიკალურ მალაზიაში, სასახლის ქუჩაზე, პრ- წრუნის ქარავსოში, ვლადიკავკაზში — სევალოთან და სტავ- როპოლში ძურაილ- ლადაც. პირის სახე იწმინდება და სახალგაზდა ადამიანის სიტოვრველ ეძ- ლევა. შევლავს უფრო ეს პომადა იმათთვის არის საჭირო, ვისაც სუფთა და თეთრი პისისაზე ჰსურთ, რომ ჰქონდეთ. მყიდველებისათვის გარანტი- არის მენის ქიმიის პროფესორი ძლიჩინსკი და მოსკოვის საექიმო მთავ- რობის მოწმობა. შასი ერთი ბანკის 1 მან. და 60 კაპ. ბანკთან არის დარიგება — თუ როგორ უნდა იხმარებოდეს. შიველ პომადის ბანკს, რო- გორც თმისთვის აგრეთვე „Pas- ta“ აქვს თავისი დარი, ამჟურის სურათით და გამამგონის ხელის



ლადაც. პირის სახე იწმინდება და სახალგაზდა ადამიანის სიტოვრველ ეძ- ლევა. შევლავს უფრო ეს პომადა იმათთვის არის საჭირო, ვისაც სუფთა და თეთრი პისისაზე ჰსურთ, რომ ჰქონდეთ. მყიდველებისათვის გარანტი- არის მენის ქიმიის პროფესორი ძლიჩინსკი და მოსკოვის საექიმო მთავ- რობის მოწმობა. შასი ერთი ბანკის 1 მან. და 60 კაპ. ბანკთან არის დარიგება — თუ როგორ უნდა იხმარებოდეს. შიველ პომადის ბანკს, რო- გორც თმისთვის აგრეთვე „Pas- ta“ აქვს თავისი დარი, ამჟურის სურათით და გამამგონის ხელის სურათით და გამამგონის ხელის სურათით და გამამგონის ხელის

რ. ბ. შა.	დღეა.	საღამ.	II კ.	III კ.	ცეცხლის გემები	ფოფა	ბირჟა	მან.	კაპ.	გაზანდა	მან.	კაპ.
თფილისი	9 36	4 54			ა) შოთილამ მიდის: მდისიკენ — ხუთშაბათს დღით. სტამბოლს — კვირაობით, დღილას.	ა) თფილისი დამ: სამხლერ გარეთ, მუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., მსურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ქანეთს — სამშ. და შაბ.	პეტერბურგი, 2 დეკემბ.			თფილისი, 11 დეკემბ.		
მცხეთა			68	38	ბ) მდისიკენ: შოთისკენ — ხუთშაბ., ნასად. შსაათ. სტამბოლს — ოთხშაბათს, შუადღეზე	ბ) მჟოთ აისი დამ: თფილისისა და შოთისკენ — ყო- ველ დღე, კვირას გარდა. მსურ- გეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.	მართი მანეთი ღირს: ლონდონში 3 1/2 პენსი. პარიჟში 3 3/2 სანტიმი. მსკონტი(სარგებლისთვის) ბანკის ბილეთი 5 1/2	84	90	პური შორაგალის ფთ. 1 40		
ბორი	12 21	8 41	2 40	1 23	შოთილამ: I II III სოსუმამდი 4 3 1 მერჩამდი 20 50 15 50 5 შაგანროგ. 34 27 8 60 მდისამდი 38 30 9 60	გ) გ ო რ ი დ ა მ. შიველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.	მოსკოვის 3 3/2 სანტიმი. ბანკის ბილეთი 5 1/2 მოგებინი(პირველისთვის) 179 მოგებინი (მეორე სესხი) 173 50	71 2	93 25	ბამბა მრევისა, ფუთი 5 20 — ამერიკისა, ფუთი. 5 60 ბაპენტილი ბამბა ფთ. 8 — მატყლი თუშური ფთ. 6 — მარაქამისა ფთ. 4 60 აბრეშუმის ნუხური გრ. 2 60 მონი, ფუთი. 4 — მონის სათელი ფუთი. 5 40 სტეარინის სათელი, ფ. 12 50 ხორცი ძროხისა, ლიტ. — 50 — ცხვრისა, ლიტრანა. — 55 სპირტი, ვედრო. 6 20 შაქარი, ბროც. ფუთი 8 — — ფხვნილი ფუთი . . . 7 20 შავა გრგვალი, ფუთი . . . 20 — ზეთი ქუნჯუთისა ფთ. 6 20 მსკოვი 1/2 იმპერიალი. . . 6 75		
საშური	2	11 10	3 92	2 18	შოთილამ: I II III სოსუმამდი 4 3 1 მერჩამდი 20 50 15 50 5 შაგანროგ. 34 27 8 60 მდისამდი 38 30 9 60	დ) შ ო თ ი დ ა მ. შიველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.	ბირაოს ფურცლები: თფილ. სააზნ. ბანკისა, ხერსონის ბანკის (5 1/2) მოსკოვის (5 1/2).	71 2	93 25	მარაქამისა ფთ. 4 60 აბრეშუმის ნუხური გრ. 2 60 მონი, ფუთი. 4 — მონის სათელი ფუთი. 5 40 სტეარინის სათელი, ფ. 12 50 ხორცი ძროხისა, ლიტ. — 50 — ცხვრისა, ლიტრანა. — 55 სპირტი, ვედრო. 6 20 შაქარი, ბროც. ფუთი 8 — — ფხვნილი ფუთი . . . 7 20 შავა გრგვალი, ფუთი . . . 20 — ზეთი ქუნჯუთისა ფთ. 6 20 მსკოვი 1/2 იმპერიალი. . . 6 75		
ბეჟათუბანი			4 42	2 46	შოთილამ: I II III სოსუმამდი 4 3 1 მერჩამდი 20 50 15 50 5 შაგანროგ. 34 27 8 60 მდისამდი 38 30 9 60							
შვირილა			5 81	3 23	შოთილამ: I II III სოსუმამდი 4 3 1 მერჩამდი 20 50 15 50 5 შაგანროგ. 34 27 8 60 მდისამდი 38 30 9 60							
მუთაისი	8 23		6 75	3 75	შოთილამ: I II III სოსუმამდი 4 3 1 მერჩამდი 20 50 15 50 5 შაგანროგ. 34 27 8 60 მდისამდი 38 30 9 60							
სამტრედია			7 73	4 29	შოთილამ: I II III სოსუმამდი 4 3 1 მერჩამდი 20 50 15 50 5 შაგანროგ. 34 27 8 60 მდისამდი 38 30 9 60							
ახ.-სენაკი			8 57	4 76	შოთილამ: I II III სოსუმამდი 4 3 1 მერჩამდი 20 50 15 50 5 შაგანროგ. 34 27 8 60 მდისამდი 38 30 9 60							
შოთი	11 44		9 75	5 42	შოთილამ: I II III სოსუმამდი 4 3 1 მერჩამდი 20 50 15 50 5 შაგანროგ. 34 27 8 60 მდისამდი 38 30 9 60							
შოთი	8 40				შოთილამ: I II III სოსუმამდი 4 3 1 მერჩამდი 20 50 15 50 5 შაგანროგ. 34 27 8 60 მდისამდი 38 30 9 60							
ახ.-სენაკი			1 18	66	შოთილამ: I II III სოსუმამდი 4 3 1 მერჩამდი 20 50 15 50 5 შაგანროგ. 34 27 8 60 მდისამდი 38 30 9 60							
სამტრედია			2 6	1 14	შოთილამ: I II III სოსუმამდი 4 3 1 მერჩამდი 20 50 15 50 5 შაგანროგ. 34 27 8 60 მდისამდი 38 30 9 60							
მუთაისი	11 51		3 4	1 69	შოთილამ: I II III სოსუმამდი 4 3 1 მერჩამდი 20 50 15 50 5 შაგანროგ. 34 27 8 60 მდისამდი 38 30 9 60							
შვირილა			3 98	2 21	შოთილამ: I II III სოსუმამდი 4 3 1 მერჩამდი 20 50 15 50 5 შაგანროგ. 34 27 8 60 მდისამდი 38 30 9 60							
ბეჟათუბანი			5 33	2 96	შოთილამ: I II III სოსუმამდი 4 3 1 მერჩამდი 20 50 15 50 5 შაგანროგ. 34 27 8 60 მდისამდი 38 30 9 60							
საშური	5 41		1 6	5 84	შოთილამ: I II III სოსუმამდი 4 3 1 მერჩამდი 20 50 15 50 5 შაგანროგ. 34 27 8 60 მდისამდი 38 30 9 60							
ბორი	7 23		3 6	7 36	შოთილამ: I II III სოსუმამდი 4 3 1 მერჩამდი 20 50 15 50 5 შაგანროგ. 34 27 8 60 მდისამდი 38 30 9 60							
მცხეთა			9 8	5 4	შოთილამ: I II III სოსუმამდი 4 3 1 მერჩამდი 20 50 15 50 5 შაგანროგ. 34 27 8 60 მდისამდი 38 30 9 60							
თფილისი	10 16		7 24	9 75	შოთილამ: I II III სოსუმამდი 4 3 1 მერჩამდი 20 50 15 50 5 შაგანროგ. 34 27 8 60 მდისამდი 38 30 9 60							